კირკეგორი: არაპირდაპირობა, როგორც მეთოდი

სტუდენტი: ანდრო კაკოიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანდრო კაკოიშვილი

20.06.2025

აბსტრაქტი

სიორენ კირკეგორის შემოქმედების დიდი ნაწილი მოიცავს „არაპირდაპირ კომუნიკაციას“ - ფსევდონიმებს, პერსონაჟებს, ირონიას, იუმორს, პარადოქსს და სოკრატულ „მაიევტიკას“. კომუნიკაციის ასეთი მიდგომა განსხვავდება იმისგან, რასაც ძირითადად, ტრადიციულ ევროპულ ფილოსოფიაში ვხვდებით, კერძოდ „პირდაპირ კომუნიკაციას“ - მსჯელობის თანმიმდევრულობას, სერიოზულობას, საკუთარი სახელით ავტორობას, ობიექტური ჭეშმარიტების დამტკიცების გზაზე ლოგიკურ ჩარჩოში მოქცეულ დასაბუთებას, სისტემურობას და ა.შ. ხშირად, ევროპული ფილოსოფიის გავლენის ქვეშ მყოფი მკითხველი კირკეგორის წაკითხვისას უშვებს შეცდომას, როდესაც მას იმავე მიდგომით კითხულობს რასაც პირველის შემთხვევაში კითხულობდა. შედეგად, კირკეგორის ასეთი წაკითხვა „არაპირდაპირი კომუნიკაციის“ გამოყენების მეთოდურ საჭიროებას არ აღიარებს და მას გაიაზრებს, როგორც მხოლოდ ლიტერატურულ სტილს. იმისთვის, რომ შეცდომაში არ შევიდეთ და „არაპირდაპირობა“ გავიაზროთ არა მხოლოდ ლიტერატურული გაფორმება, არამედ აუცილებელი ინსტრუმენტი კირკეგორის ფილოსოფიისთვის, ამისთვის კვლევა მიზნად ისახავს გამოკვეთოს და დაადგინოს „არაპირდაპირი კომუნიკაციის“ მნიშვნელობა და დანიშნულება კირკეგორთან. შესაბამისად, საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რისთვის არის „არაპირდაპირი კომუნიკაცია“ საჭირო და რატომ არ შეიძლება მისი „პირდაპირი კომუნიკაციით“ ჩანაცვლება? საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად და კვლევის მიზნის შესასრულებლად ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კონტენტანალიზის მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზდა კონკრეტული ტექსტები და მათში „არაპირდაპირი კომუნიკაციის“ საჭიროება გამოიკვეთა. ნაშრომში გამოიყო „არაპირდაპირობის“ გამოყენების საჭიროების სამი ძირითადი მიზეზი. „ბრბოს“, „ილუზიაში“ მყოფ საზოგადოებას და „სპეკულატიურ აზროვნებას“ უპირისპირდება კირკეგორი, რისთვისაც „პირდაპირი კომუნიკაცია“ უძლურია და ამისთვის საჭიროა „არაპირდაპირი კომუნიკაციის“ გამოყენება. სამივე აუდიტორიას განსხვავებული პრობლემები აქვთ, ამიტომ „არაპირდაპირობის“ საჭიროების მიზეზიც თითოეული

მათგანის შემთხვევაში სხვადასხვაა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „არაპირდაპირი კომუნიკაცია“ მნიშვნელოვანი და საჭიროა კირკეგორის ფილოსოფიისთვის, რადგან „პირდაპირობით“ მისი ჩანაცვლება არ შეიძლება. მაშასადამე, იმისთვის, რომ კირკეგორი სწორად გავიგოთ, აუცილებელია „არაპირდაპირი კომუნიკაცია“ გავიაზროთ არა მხოლოდ, როგორც ლიტერატურული სტილი, არამედ მისი ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილი.

საძიებო სიტყვები: სიორენ კირკეგორი, არაპირდაპირობა, პირდაპირობა, არაპირდაპირი კომუნიკაცია, პირდაპირი კომუნიკაცია.

Abstract

The main part of Søren Kierkegaard's works involves „Indirect Communication" – pseudonyms, characters, irony, humor, paradox and Socratic „maieutics". This type of communication differs from what we mainly find in traditional European philosophy, namely "direct communication" – secuence of discussion, seriousness, authorship under own name, logically framed reasoning for provinging objective truth, systematicity, etc. Often, a reader influenced by European philosophy makes mistake as he reads Kierkegaard in the same way he would read the previous one. As a result, such a reading of Kierkegaard does not recognize the methodological need for using "indirect communication" and understands it as merely a literary style. In order not to make mistakes and to realize "indirectness" not only as a literary device, but also as a necessary tool for Kierkegaard's philosophy, the study aims to outline and establish the meaning and purpose of "indirect communication" for Kierkegaard. Accordingly, the research question is as follows: what is the function of "indirect communication", and why cannot it be substituted with "direct communication"? To answer the research questions and fulfill the research goal, the paper uses a qualitative research methodology. Based on the method of content analysis, specific texts were examined, revealing the necessity of "indirect communication" within them. The study identifies three main reasons for the need to use of "indirectness". Kierkegaard opposes the "crowd", a society immersed in "illusion", and "speculative thinking", for which "direct communication" is powerless and for which it is necessary to use "indirect communication". All three audiences have different problems, therefore the reason for the need for "indirectness" is different in each of them. As a result of the research, it was determined that "indirect communication" is important and necessary for Kierkegaard's philosophy, because it cannot be replaced by "directness". Therefore, in order to properly understand Kierkegaard, it is essential to grasp "indirect communication" not merely as a literary style, but as an integral part of his philosophy.

Key words: Søren Kierkegaard, Indirectness, Directness, Indirect communication, direct communication.